

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს

ოქმი N 6

ქ. თელავი

22.11.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე -

მ. მარკოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: დ. გოგოშვილი; გ. ქიზიყელაშვილი.

დღის წესრიგი

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“-ს განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - მ. მარკოზაშვილი

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“-ს განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დ. გოგოშვილი - წარმოდგენილ პროექტში სრულად არ არის დაცული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ფორმატი და საჭიროა მისი „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების დებულებასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა; მ. მარკოზაშვილი - მიზანშეწონილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების თანხა 200,0 ათ. ლარიდან გაიზარდოს 300,0 ათ. ლარამდე; ასევე 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას ქ. თელავში ალაზნის გამზირზე N7 საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის და ქ. თელავში მეგობრობის ქუჩის მოწესრიგება. გ. ქიზიყელაშვილი - მიზანშეწონილია 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებისათვის გამოყოფილი თანხები გაიზარდოს იმ ოდენობით, რომ სოფ. ფშაველში მოხდეს სასაფლაოს შემოღობვა. ასევე სასურველია სოფ. ფშაველში საუბნო განათების მოწესრიგება.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნები.

ფრაქციის თავმჯდომარე *მ. მარკოზაშვილი* მ. მარკოზაშვილი